



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 ივნისი 2024



N 298/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ხუმპრერი ჰესის“ მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 1“ და 26,37 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ხუმპრერი ჰესის“ მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 1“ და 26,37 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N34;
2. შპს „ხუმპრერი ჰესი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N34 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ხუმპრერი ჰესი“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ხუმპრერი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

